№ 86 აპრილი 25, ოთხშაბათი 1890 აპრილი 25, ოთხშაბათი № 86

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი 1877—1890

კვირას, 29 აპრილს, ოფიციალურად გაიმართება

## ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

კერძო სამკურნალო ს. ბ. თოფურიასი მოსულთა ავადმყოფთათვის და მუდმივ საწოლებით. ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდამ სამ საათამდის: შინაგანი ავადმყოფობისათვის მიიღებს ს. ბ. თოფურია. ხირურგიულისა და ვენერიულისათვის—ლ. ა. გავსეევი. საბებიო და ქალის ავადმყოფობისათვის—ექიმი-ქალი მ. ფ. კალანი. ელექტრონით ექიმობას იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით) ნაშუადღევის ხუთ საათიდამ შვიდ საათამდის ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მეცნიერების დოკტორი კეიხელი.

სამკურნალოსთან იქმნება გამართული კაბინეტი ავადმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეტი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ეღირება სამი მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟის), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი გარიგებით იქმნება.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იმყოფება ბოკერიას სახლში, ქუთაისის ბულვრის პირდაპირ.

სამკურნალოს დირექტორი ს. მ. თოფურია

(6—3)

## რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანათი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

ვინც ნივთების შემოწირვას ისურვებს „წერა-კითხვის საზოგადოების" ლატერია-ალეგრისათვის, ვთხოვთ კეთილ-ინებოს და გამოგზავნოს შემოწირულება კნეინა ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძეს სახელობაზე (კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ თ. გრუზინსკისეულის სახლებში).

## ახალი ამბავი

*** 23 აპრილს დანიშნული იყო მორიგი კრება ქალაქის საბჭოსი. კრებაზე ბლომად მოგროვდა ხმოსნები, რადგან საყურადღებო საქმეები ჰქონდა საბჭოს განსახილველად. მაგრამ ქალაქის თავის მოადგილემ, ბ-ნმა იზმაილოვმა, გამოუცხადა კრებას ამბავი გარდაცვალებისა არტემ არტემის ძის ხარაზოვისა, რომელიც ქალაქს უსასყიდლოდ ემსახურებოდა 1866 წლიდგან უკანასკნელ დღემდე. არტემ არტემის ძე პირველად მოქალაქეებმა თავის წარმომადგენლად ამოირჩიეს ეგრეთ წოდებულ „რასპორიადიტელნი პრაველენიაში", რომელიც განაგებდა საქალაქო საქმეებს. შემდეგ, 1875 წელს, როდესაც ტფილისში შემოღებულ იქმნა საქალაქო თვითმართველობა, იგი ამოირჩიეს ხმოსნად და ამ მოვალეობას ერთგულად ასრულებდა სიკვდილამდე. სხვათა შორისაო, სთქვა თავმჯდომარემ, არტემ არტემის ძე ძრიელ მოწადინებული იყო, რომ ქალაქი დაჰყაბულებოდა მართებლობას და აელო ტფილისის ბაღები—საბოტანიკო, მუშტაიდი და ალექსანდრეს ბაღი. იგი წინადვე ჰხედავდა, რა დღე დაადგებოდათ ამ ძვირფას ბაღებს, და ეხლა ყველა ჩვენგანი ჰხედავს, რამდენად ძლიერი იყო მისი შორს-მხედველობაო. ნიშნად ამ დაუვიწყარის ხმოსნის პატივისცემისა გადადებულ იქმნას დღევანდელი კრება საბჭოსი. ამ სახით კრება არ შესდგა.

*** აქამდე უცხო ქვეყნების ქვეშევრდომის სიკვდილის შემდეგ რაცკი პასპორტები და სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდი რჩებოდა, პოლიცია იმ სახელმწიფოს ელჩოში ჰგზავნიდა, რომლის ქვეშევრდომადაც იგი ითვლებოდა. მაგრამ რამდენჯერმე აღმოჩნდა, რომ სიკვდილს შემდეგ ელჩის მიერ გაგზავნილი საზღვარ-გარეთ საბუთის ქაღალდები სრულ... იმისი არა ყოფილა და შეცდომით ... მოწმობანი ეგზავნებოდა პოლიციის მიერ ელჩს. მკვდრის მოწმობით რუსეთში სრულიად სხვანი სცხოვრობდნენ ხოლმე და არა ერთხელ მკვდრის მოძრავ ქონებასაც იმტკიცებდნენ. ამის გამო ეხლა პოლიციის უფროსმა უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, რომ რაც უცხო ქვეყნელის სიკვდილს შემდეგ საბუთის ქაღალდები დარჩება, პოლიციის უფროსის კანცელიარიაში გამოგზავნეთ, დარჩენილ ქონების სია შეადგინეთ და ისიც წარმოადგინეთ, რათა პოლიციის უფროსმა შემდეგ ეს ოქმი, თუ მოწმობა სიკვდილისა, მოძრავ ქონების აღწერა და საბუთის ქაღალდები ტფილისელ ან პეტერბურგელ ელჩს გაუგზავნოსო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მისი უწმინდესობა სომეხთა პატრიარქ-კათალიკოსი მაკარი ამ წელს აღარ აპირობს პეტერბურგში წასვლას, რადგანაც მირონის კურთხევა 30 სექტემბრისათვის გადასდეს. მისი უწმინდესობა, როგორც ეჩმიაძინიდგან იწერებიან, რუსეთში მემრის გაზაფხულზე გაემგზავრება.

*** ტფილისის სასულიერო სასწავლებლისათვის სამღვდელოებამ ამ რამდენისამე წლის წინად შეიძინა საკუთარი სახლი. ეს შენობა არა ჰყოფნის სასწავლებელს და ამიტომ მომავალ ივნისიდგან დაიწყებენ ახალის შენობის აგებას სასწავლებლისავე ვრცელ ეზოში. ამ შენობაში მოთავსებული უნდა იყოს სასწავლებლის მთავრობა, ეკკლესია და პანსიონი, ხოლო ძველს შენობაში-კი გამართული იქნება სასწავლო ოთახები.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ წრეულს ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობა ყველა სასულიერო სასწავლებელში სემინარიიდგან წარგზავნის [illegible]

*** სომხეთის მხრიდგან გვწერენ, რომ აქ, ეკკლესიის შენობის დროს, ერთმა მღვდელმა საფლავში ძველი ქართული დაბადება იპოვნაო. კარგი იქნება, რომ ეს შესანიშნავი ნაშთი არ დაიკარგოს და მპოვნელმა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნთ-საცავს შემოსწიროს.

*** კავკასიის საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოება ყოველ წლივ უნიშნავს ეგრეთ წოდებულ «წლიურს პრემიას» იმ წევრს, რომელიც საუკეთესო რეფერატს წარმოადგენს ხოლმე. წრეულს ეს ჯილდო დაუნიშნავთ ექიმ ი. ი. კორონასთვის, რომლის რეფერატიც „Тифлисъ, какъ бальнеологическая станція" ამ საზოგადოებას საუკეთესოდ უცვნია.

*** 23 აპრილიდგან დაიწყო მოქმედება ტფილისში ახლად დაარსებულმა «ქართულ წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ». ამხანაგობას უმთავრესად ქართულ წიგნების გამოცემა აქვს საგნად. ამხანაგობის ქონებას შეადგენს: 1) თითოეულ წევრის მიერ შემოტანილი „საწევრო ფული" ანუ პაი (50 მან.); 2) გამოცემულ წიგნების გასყიდვით აღებული ფული; 3) ხელის-მომწერელთაგან შემოსული ფული, თუ ვინიცობაა დრო-გამოშვებით გამოსცა რამე „ამხანაგობამ", და 4) შემთხვევითი შემოსავალი. ძირის თანხა ამხანაგობისა შესდგა: 1) გრიგოლ ჩარკვიანისა და რ. ფანცხავას აწ არსებულ წიგნის მაღაზიისა და 2) თითოეულ წევრისაგან შემოტანილ პაიდგან. ამ თავით თითოეული წევრი ვალდებულია სამის თვის განმავლობაში თვეში თითო თუმანი შეიტანოს და დანარჩენს ცხრა თვეს, ... ფული არ შემოიტანა, წევრობიდგან გამოირიცხება და მის მიერ ნაკლებად დატოვებული ფული ძირის თანხას მიემატება. ამხანაგობის წევრობის უფლება ყველასა აქვს, ვინცკი ისურვებს და ხუთს თუმანს შეიტანს. წევრობისათვის საჭირო არ არის ამხანაგობის პირობის ქაღალდზედ ხელის-მოწერა. თუ წევრი გარდაიცვალა, იმისი ხვედრი პაი გარდაცვალებულის მემკვიდრეს მიეკუთვნება. არც ერთს წევრს არ შეუძლიან ორის ხმაზედ მომეტებული ხმა ჰქონ-

## ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲓᲐᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ანუ

თელაველი ოტელლო.

დრამა ოთხს მოქმედებად

მომქმედნი პირნი

ვანო არზუმანაშვილი (ფინასბარდოიანთი), ახალგაზდა ბაზაზი, 24 წლისა. პატარა წვერი აქვს; მაუდის ჩერქესკა აცვია, შავი ატლასის ახალუხი და გძელი შალვარი. გულზე საათი აქვს გძელის ვერცხლის ძეწკვით, წელზე ვიწრო ვერცხლის ქამარი აკრავს, თავზე კარტუზი ჰხურავს. პირველი მოკრივეა თელავში.

ნუშო არზუმანაშვილისა, ამისი ცოლი, 19 წლისა. ქართულად აცვია.

ბეკა არზუმანაშვილისა. ვანოს დედა, მოხუცებული დედაკაცი. შავებშია, დაბალი ჩიხტა ჰხურავს.

არტემა დუმბაძაშვილი (ლეკ დაუთაანთი), ნუშოს ბიძაშვილი, 25 წლისაა, კავკავში პრიკაშჩიკად ნამყოფი და ეხლა მოწადინებული საკუთარი ღვინის სარდაფი იქონიოს; თანხიანია; ვანოს დიდი მეგობარია. ახალი ჩამოსულია კავკავიდგან და ვანოსთანა სცხოვრობს ერთ სახლში. ყარაჩოღულად აცვია: შავი შალის ჩოხა, შავი ახალუხი, განიერი შალვარი, კოხტად ჩაკეცილი ჩუსტები და წელზედ პტყელი ვერცხლის ქამარი; გულზე საათი აგდია ძეწკვით, თავზე რგვალი, ესრედ წოდებული, „კავკაური" ქუდი ჰხურავს. პატარა წვერი აქვს.

თალია (კოშკ-მარქარაანთი), მოხუცი დედაკაცი, კეკას მეგობარი. შავები აცვია, დაბალს ჩიხტას ატარებს და თავზე შავ მოსახვევსა ხმარობს.

სოფო (კოშკ-მარქარაანთი) ამისი ქალი, 18 წლისა. თელავის სომხის სკოლაში კურს-შესრულებულია, ევროპიულად აცვია პროვინციალურ გემოვნებაზე.

ოსიოსთა (კლასნი დამა). სომხური სიტყვაა, აღმზრდელ ქალსა ჰნიშნავს; თელავის სკოლაში მსახურობს; სომხის ჩამომავლობისაა და ამისდა მიუხედავად ქართულად წმინდად ლაპარაკობს. ევროპიულად აცვია პროვინციალურ გემოვნებაზე.

სოლომანა პრანგიაშვილი (ქვაშედიაანთი), მასწავლებელი იმავე სკოლაში. ახალგაზდა ყმაწვილია, გორის სემინარიაში კურს-შესრულებული; სომხის პატრიოტია, თუმცა მკვიდრი თელაველია.

იაგორა ჯლანოაშვილი (განჯელ ფირადაანთი). მეტი სახელი „მწვანე" აქვს. ბაზაზია, შუახნისაა; წვერს იპარსავს, ვანოსებრ აცვია, ცოტა სადაც; მოზრდილი ღიპი აქვს.

დარჩო ვარდოაშვილი (ვარდუოვი სირაქლემაანთი), მედუქნე, შუახნის კაცია. სცენაზე უქუდოა, ახალუხა, ფესტამალ ჩამოფარებული; აკრავს პტყელი ვერცხლის ქამარი მსხვილ ვერცხლის ბუშტებით შესაკრავში.

გაკულა (მეტი სახელია) ახალგაზდა ბიჭი, დარჩოს დახლიდარი; კინტოურად აცვია; სცენაზე ახალუხაა, უქუდო ფესტამალ ჩამოფარებული.

| | | |
|---|---|---|
| თორზა ჭურკალა ყული-ბაბა | { | (მეტი სახელებია) სამნივე მოკრივენი არიან თელავის მხრით; |

კინტოურად აცვიათ; სცენაზე ახალუხა და უქუდო გამოდიან.

მოქმედება სწარმოებს ქ. თელავში ჩვენს დროს.

პირველი მოქმედება (ვანოს სახლში)

(სცენა წარმოადგენს ოთახს შუათანა შეძლების პატრონისას. პირდაპირ და მარჯვნივ კარებია; პირდაპირ ერთი ფანჯარა, მარცხნივ ორი; პირველ კარებიდგან მოყოლებული მარცხენა კედლამდის ტახტია გამართული; მარჯვენა კარებთან სტოლია სკამებითურთ; სტოლის ზემოდ კედელზე პატარა იაფფასიანი სარკეა; კედლებთან სკამებია თეთრ ჩიხოლებით გადაფარებული).

გამოსვლა I

ნუშო მარტო

ნუშო (ტახტზე ზის და ჰკერავს). მალე გავათავო ეს პერანგი, თორემ საცაა ვანო მოვა და გამიჯავრდება, თვალებს ტყუილად ნუ იფუჭებო; ნებას არ მაძლევს, რო თეთრეული მე შეუკეროო; ძალიან სკუპოიც ნუ იქნებიო, ცოგოლას ქალმა რაღა ქნას, რო შენც თვალებს იწყალებდეო. მაგრამ ვერ მივართვი! კეკასაც ნებას არ მივცემ, რო ჩემ ვანოს თავის ხელით შეკერილი პერანგი ჩაიცვას! როგორ არა! საჭმელსაც დღეს უკანასკნელად ამზადებს ჩემი დედამთილი, ხვალ მე თითონ დავიწყობ მზარეულობას და ისეთ მწვანე ლობიოს გაუკეთებ, რო ლუკმა აბაზათა ღირდეს. რაც უნდა მითხრას, რაც უნდა მაჯეროს, რომ ბოლი თვალებს გაგიფუჭებსო, მაინც ხვალიდგან მე ვიწყობ საჭმლის კეთებას, თუმცა კეკას ჯავრს ვერ აუვალ. უიმისოთაც რაღაც უკმაყოფილოა ჩემი, მგონია იმიტომ რომ ეხლა სახლში პირველი ადგილი მე მიჭირავს, თუმცა მაგისთანა კარგი დედაკაცი მთელს თელავში ცალი არ მოიძებნება. მგონია, არც უნდოდა ჩემი რძლობა. (ჩაფიქრდება) მახსოვს რა გადამხდა თავზე იმ დღეებში. ღმერთო, რა ჭორები არ მამიდეს! განა მარტო ვანო ჰყვარობს; ყველა ვანოს ამფსონებიო! ღმერთო, რა ბო-

დეს. ყოველს წევრს ნება აქვს დაათვალიეროს „ამხანაგობის“ სავაჭრო წიგნები. ყოველ ას მანათ მოგებიდგან 10% სათადარიგო თანხას შესავსებლად უნდა გადიდოს, 20% ძირის თანხისა და დანარჩენი 70% წევრებს გაუნაწილდებათ, „პაის“ რაოდენობის დაგვარად. ამხანაგობის გამგედ ამორჩეულია ა. გ. ჯაბადარი. ამ ჟამად ამხანაგობას სულ თვრამეტი წევრი შეადგენს: გ. ე. ჩარკვიანი, ი. დ. გულისაშვილი, რ. ს. ფანცხავა, ი. კ. მათიკაშვილი, დ. გაგლოშვილი, ა. როინაშვილი, ინასარიძე, ე. დ. ალნიაშვილი, ა. გ. ჯაბადარი, ნ. ს. ზედგინიძე, ი. ს. ტაბიძე, ი. ნ. ზედგინიძე, თ. ე. ე. ბაგრატიონ დავითაშვილი, ნ. კახეთელიძე, ა. თოიძე, მერაბაშვილი, დ. ბესარიონ-კიკნაძე და ზ. ცხოვრებაშვილი.

*** სოფ. მეტეხი (გორის მაზრაშია) ჩვენის ეკკლესიიდგან ამ სამის წლის წინად უეცრად დაიკარგა ღვთის-მშობლის ხატი ძვირფას თვალ-მარგალიტითა და ქვებით შემკულ-მოჭედილი. ბევრი ეძებეს, ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერა ღონისძიებით ვერ აღმოაჩინეს დაკარგული ხატი. ამდეგ იანვარს ვიღაც ცრუ და მატყუარა მკითხავმა უთხრა ხალხს მკითხაობის დროს, რომ ის ხატი იმავ სოფელში მცხოვრებელ მ—ლის ცოლს დახაფლავების დროს თან ჩაატანესო საფლავში. ხალხი წავიდა მაშინვე და დასაფლავებულის პატრონის დაუკითხავად დაუწყეს საფლავს თხრა, მაგრამ შრომამ ტყუილად ჩაუარათ. მიცვალებულის ცალიერ ძვლების მეტი სხვა არაფერი დახვედროდათ. გაიმართა ამაზედ ჩივილი აგერ იანვარს აქეთია [illegible]

*** სოფ. ჩოჩეთი (გორის მაზრაშია): ამბობენ, რომ აქაურ მცხოვრებელს ქვრივს ეფემია მალალაშვილისას აქვს თურმე ბევრი ძველი ქართული ხელ-ნაწერი წიგნი, როგორც ორიგინალი, აგრეთვე ნათარგმნები. ურიგო არ იქნებოდა, ჩვენის აზრით, რომ ეს წიგნები დაეთვალიერებინა რომელსამე ძველის ხელ-ნაწერების მოყვარულსა და მცოდნე კაცს, აენუსხა, აეწერა და გამოეცხადებინა, რა მნიშვნელობისანი არიან ის ხელ-ნაწერი ქართული წიგნები.

*** ახალ-სენაკი: ახალ-სენაკელებმა ბედნიერი დღეები წელს ჩვეულებრივად მხიარულად ვერ გაატარეთ. მიზეზი უფრო გახშირებული სიკვდილი გახლდათ, რის გამოც უმეტესობა შავებით გაბურვილი დახვდა წრეანდელს ბედნიერ დღეებს. არ არის გვარი ჩვენში, რომლისათვისაც წრეანდელს წელს არ გამოეკლოს ერთი თუ ორი მისი თანამგვარე. ხოლო ჩვენში ჩვეულებაა, რომ თუ ერთი გარდაიცვალა გვარში, მთელმა მისმა თანამგვარეებმა უნდა იგლოვონ რამდენიმე თვეე. მეორე მიზეზი „უფულენცია“ გახლდათ და ამის გამო სიამოვნებისათვის აღარავის არა სცხელოდა. უფულენციამ და ქესატობამ ეხლა ღრმად გაიდგა ფესვი ჩვენს ცხოვრებაში. თუმანში თთვიურ სარგებელს მანეთს ვინლა ჰზოგავს, მაგრამ სადღაა სესხად გამცემი. თუ ვისმეს ოდესმე ნაშოვნი რამე ეგულება, ცხრა კლიტულში ინახავს და ყოველ დღე იმის ფიქრშია, არსად გამეპაროს ხელიდაგანო. გვეგონა, რომ გაზაფხულზე, როცა ბუნება ფერს იცვლის, პატარძალივით მოირთვება მინდორი, მთა-ველი ამწვანდება, აბიბინდება და ხეები გაიფოთლება, იქნება ჩვენც დარდი და ნაღველი გადაგვეყაროს, გავმხიარულდეთო, მაგრამ ოცნებამ ამაოდ ჩაგვიარა: ავადმყოფობა და ხშირი სიკვდილი ეხლაც აღარ გვანებებს თავს.

*** ქიედამეე: აქაც სცდილობენ გაასუფთაონ ქალაქი, გასწმინდონ ეზოები, ქუჩები და სუფთად შეინახონ სახლები და სადგურ-შენობანი. მთავ-[illegible] მაგრამ ბევრი ყურს არ უგდებს იმის ბძანებას და ამიტომ უყურადღებოდ რჩება მთავრობის ცდა.

*** ფოთი: შაქრის მწარმოებლები შაქარს ფოთიდგან ჰგზავნიან კავკასიასა და სპარსეთში და არა ბათუმიდგან. ამისი მიზეზი ჯერ ის არის, რომ ფოთის რკინის გზა უფრო მოკლეა ბათუმისაზე ოც-და-თხუთმეტის ვერსით და ამიტომ ყოველ ფუთის გადატანა სამ-ნახევარ კაპ. ნაკლებად უჯდებათ. მეორე მიზეზი კიდევ ის არის, რომ ორთქლის გემიდგან შაქრის რკინის გზის ვაგონებში გადაწყობა ფოთში უფრო ადვილია, ვიდრე ბათუმში («ახ. მიმ.»)

*** გაზ. „Новое Время“ ამბობს, რომ სახელმწიფო საბჭო მალე განიხილავს კავკასიის სამედიცინო გამგეობის წესების შეცვლის პროექტსაო.

*** გაზ. „Каспій“-ს სწერენ ბათუმიდგან: აქაურმა ოლქის სასამართლომ ერთს ქურთს ავაზაკს ექვსის წლის კატორგა გადუწყვიტა. როდესაც ბრალდებულს განაჩენი გამოუცხადეს, ყარაულებმა მეორე ოთახში გაიყვანეს. ფანჯრიდგან რომ გადიხედა ბრალდებულმა და ნახა, რომ ქვეით ქურთებს მოეყარათ თავი, გასტეხა ფანჯარა, გადახტა იქიდგან და ხალხში ჩაიჩქმალა. ყარაულებმა ვეღარაფერი ვეღარ მოახერხეს, ის იყო თავი უნდა დაენებებინათ ძებნისათვის, რომ ბედმა უმტყუნა ავაზაკს. ამ ავაზაკმა და ორმა იმისმა ნათესავმა გაირბინეს დონდუკოვის ქუჩა, მიირბინეს ერთს მეეტლესთან და სთხოვეს, გაგვაქციეო. მეეტლე არ დასთანხმდა და მალე იმასა და ქურთებს ჩხუბი მოუვიდათ. ამასობაში მოირბინეს პოლიციის მოხელეებმა და შეიპყრეს ავაზაკიცა და იმის ორი ნათესავიც.

*** ამ თვის 23 სამსახურიდგან გამოსულის კანცელარიის მოხელის ალექსი ვაგილკოვსკის დაუკეტავის სადგურის დერეფნიდგან მოიპარეს ექვსი ჩაის კოვზი. ამათში 4 ვერცხლისა იყო და სულ ერთ თუმნად ღირებული და ეჭვი არავისზე არ მიუტანიათ. საქმე გადაეცა გამომძიებელს.

*** ამავე რიცხვს, ბალის ქუჩაზე, ალელოვის სახლში, ბებია ქალს ვერა ლიმანს მო-[illegible] ნივთეულობა 59 მანეთად ღირებული. ქურდი შეიპყრეს ნაქურდალითურთ, ოქმი შეუდგინეს და სამართალში მისცეს.

*** აპრილის 23, ავჭალის ქუჩაზე, სათადარიგო უნტერ-აფიცრის იოსებ კემთას სახლში პოდპოლკოვნიკს იაკობ მალიარენკის მოჰპარეს ვერცხლის საათი, 11 მან. 50 კაპ. ღირებული. გამოძიება სწარმოებს.

*** ამავე დღეს 4 საათზე სამხედრო-საპოპოლიცოპოლ-გრაფიო განყოფილების მოხელის ანდრაშევის ფიცრულში იპოვნეს გვამი ამავე უწყებაში მყოფის ჯარის-კაცის ტიმოთე რომანენკოსი. ტყვია გარდაცვალებულს შუბლში ჰქონდა ნაკრავი. მოკლულს არავითარი ნაძალადევობა არ ეტყობოდა. ეჭვი ჯერ არავისზე არ მიუტანიათ. გამოძიება სწარმოებს.

◆◆

## არშის ციხე

არშის ციხე მდებარეობს სოფელ არშს, თერგის მარცხენა კიდეზე. დღეს სოფელ არშს მკვიდრობს 16 მეკომური. სოფელი თითონ პატარაა, მაგრამ შესანიშნავია თავის ციხე-სიმაგრით, რომელიც თითქმის 2,000 ფუტის სიმაღლიდგან დაჰყურებს ამ სოფელს. ციხეს გარშემო არტყია უზარმაზარი და მიუვალი კლდე-კონცხები. ციხეში მისავალი გზა მხოლოდ ერთად-ერთი ბილიკია ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრიდგან. ხოლო ეს ბილიკიც ფრიად ვიწროა და ამასთანავე ორ ალაგას მაგარის კარებით შეკეთილია. პირველი კარი რკინით შეჭედილია, ხოლო მეორე-კი ხისაა. პირველს კარს ადევს ძველებური კლიტე, რომლის გაღება შეუძლიან მხოლოდ მცოდნე კაცს. ამ კარს მეორე კარი შორს აქვს, 5—6 საჟენზე. გაივლება ეს კარიც და შეხვალთ არშის სიმაგრეში.

ვიწრო ბილიკს, რომელიც ორ კარს შორის არის, აქეთ-იქით კედლებიდგან გადმოჰყურებს სათოფეები. შიგ სიმაგრეში არის პატარ-პატარა ნასახლარები, რიცხვით 50-მდე. ამ ნასახლარების ზემოდ ერთ მაღალ გორაკზე არის ნახევრად დაქცეული ეკკლესია წმ. გიორგისა. სიმაგრის ბოლოში, აღმოსავლეთის მხრით, კლდის წვერზედ არის ერთი გამოქვაბული, რომელსაც არშელები დღესაც „საგვარჯილე“ კოხს ეძახიან. არშის მეციხოვნეთ ამ გამოქვაბულში გვარჯილა ჰქონიათ და მისგან უკე-[illegible]ლში დღესაც გვარჯილა ბევრია. წამლის ჩასაყრელ ჭურჭლად უხმარიათ მიწაში ჩადგმული ქოცო. ნასახლარების აღმოსავლეთის მხრივ გაჭიმულა მშვენიერი ველი, სივრცით არა ნაკლებ სამის დღიურისა. ველი გაზაფხულზე შეიმოსება ხოლმე მშვენიერის ბალახით, მაგრამ არშის მცხოვრებნი, ხატის შიშით, ამ ბალახს ახლოც არ უდგებიან და, არა თუ მარტო თითონ, არამედ სხვასაც არ აკარებენ. ეკკლესიას აქვს ორი ზარი, თითოეული იწონის 2—3 ფუთს, ერთი ძველის დროისაა და მეორე-კი ამ 15 წლის წინად შემოსწირა ს. ბიბილაურმა. არც ერთსა და არც მეორეს ზედ წარწერა არა აქვს.

არშის სიმაგრის შესახებ ბევრი საყურადღებო ამბავია ხალხში დარჩენილი.

აი ორიოდე თქმულება არშის ციხის შესახებ. პირველ კარს მარჯვენივ კლდეზე სისხლით გამოსახულია ორი ჯვარი. ამ ჯვრების შესახებ მოხუცი გოგბაიძე მოგვითხრობს: ოდესღაც მრავალ მლოცველთა შორის არშის წმ. გიორგის დღეობაზე მოსულა გუდამაყრელი ნადირა. ამ ნადირას ცოლი ძალიან ლამაზი ყოფილა. ადგილობრივ ერისთავს ძლიერ მოსწონებია ეს ქალი და ქმრისთვის წართმევა მოუწადინია. ხევის ხალხს დიდად სთაკილებია და ერისთავისთვის ხევწნა დაუწყიათ, ნუ შეგვარცხვენ და მოგვაყვენებო. მაგრამ ერისთავს არ დაუშლია. მაშინ ნადირას უძვრია ხმალი და იქვე აუკაფავს ბოროტი ერისთავი. ამ შემთხვევის სახსოვრად ხალხს ერისთავის სისხლით კლდეზე ჯვრები გამოუსახავს.

არშის ციხეში წყალი მილით ყოფილა გამოყვანილი. მილის ნამტვრევები ეხლაც მოჩანს კლდეში. ერთხელ შიშიანობის დროს ხევის ხალხი შეკეტილა არშის ციხეში. ლეკის ჯარი შემოჰსევია ქვეყანას და მის დგომია არშს. ბევრი უბრძოლიათ, მაგრამ ციხე ვერ აუღიათ. მაშინ ლეკებს მილის წყლის სათავის ძებნა დაუწყიათ. ერთს ლეკს მიუგნია და თხრა დაუწყია. ეს შეუმჩნევია ერთ არხოტელს, უსროლია თოფი და ლეკი იქვე მოუკლავს. ლეკები ბევრს ტანჯულან, მაგრამ მაინც წყაროს სათავე ვერ უპოვნიათ, ციხე ვერ აუღიათ და ისევ შინ დაბრუნებულან.

ერთხელაც კიდევ თურმე ლეკები შემოერტყნენ არშს, ბევრს ეცადნენ, მაგრამ ციხე ვერ აიღეს. მაშინ ხერხი იხმარეს. ღამე უნაგირები შეჰკრეს და კიბე გააკეთეს. ლეკების ბელადი აეიდა კიბეზე და ის-ის იყო ციხეში გადადიოდა, რომ დარაჯმა გაუგო და იქვე მოჰკლა. ამ გვარად ლეკები ამ ხელადაც დამარცხდნენ და შერცხვენილნი უკუ-იქცნენ.

---

როტი ენა აქვს ნარი-გლეჯიაანთ მაშოს, რაები არა თქო! ეხლა-კი მთელ თელავს გაგანი გააქვთ იმ საცოდავზე; ნეტავი საწყალმა გულ-მაგრად გაუძლოს ჭორებს. გამოცდილი მაქვს! (ჩაფიქრდება). მამაჩემმა დახლიდრობა ჩამაართო, გააგდო და უნდა ჭილურტიშვილ სტეფანესთვის მიეეთხოვებინე. გაიგე, რომ ვანო თავის მოკვლას აპირობსო, მე ანთება მამივიდა, კინაღამ თან გადავყევი; მამაც კინაღამ ჭკუიდამ შეშლილიყო; ვანო დაიბარა, დუქანი ჩააბარა, და უთხრა, რო თუმცა მინდოდა ჩემის რჯულის კაცისათვის მიმეცა ჩემი ქალი, მაგრამ რას იზამ, ჩემი ქალი რჯულს მირჩევნიაო, ღმერთმა ბედნიერება მოგცეთო. ნეტავი კიდევ ეცოცხლა, ენახა ჩვენი ბედნიერება. როცა ვანოს ხუმრობით უთხარი, როგორ შევინახოთ მარხვა-მეთქი, იმან მითხრა, რა რჯულიზედაც გინდა, ისე მოიქცევიო, ოღონდ შენ კარგად იყავიო! ვენაცვალე, რა კარგი გული აქვს; ღირსიც არა ვარ! მამამ რო გააგდო, მე ტირილით შევჩივლე, მათხოვებენ-მეთქი, ჭილურტიშვილს მაძლევენ-მეთქი, იმან კიდე მითხრა, ნუ ეურჩები მამას, გამოცდილი კაცია, შენი ბედ-იღბლის საქმე შენზე კარგათ ეცოდინებაო. აი მე დაღუპული კაცი ვარო... ასე მგონია, გული ჩამწყდა, როგორღაც ჭკუა ამერია!.. ავად რო ეიყავ, რეები არ მოგვიგონეს, ღმერთო! განა ანთება აქვსო? მშობიარეაო! ღმერთო, დაიხსენ ყოველი სულიერი იმ ტანჯვისაგან, რაც ჩვენ გამოვიარეთ! ახლა ჩემზე ბედნიერი ქვეყანაზე ქალი არ არის. მხოლოდ ვანოს ამბავი მაწუხებს. ეს ერთი კვირაა დაღვრემილი დადის, უთუოდ ვაჭრობა ცუდად წაუვიდოდა. მინდოდა მეკითხნა, მაგრამ კიდევ მოვიცდი. გუშინა მკითხა, გიყვარვარო? მერე შერცხვა, უნდოდა თვალებში შემეეხედნა, მაგრამ თვალი ვერ გამისწორა და გაიქცა. არ ვიცი რა უნდა იყოს? დედამთილსა ვკითხავ, იქნება იმან იცოდეს. ავდგე. (წამოდგება)

### გამოსვლა II

იგივე და ბებე

ბებე (შემოდის მარჯვენა კარებიდგან). შვილო, თვალებს ნუ იფუჭებ, დაგიწითლდება და მერე შენის ქმრის თავისა აქვს? ჩამაცივდება—ყურს არ უგდებო. რა ისეთი პატარა ხარ, შვილო? ნუ ვააჯავრებ, გენაცვა, თავად ეს ერთი კვირაა რაღაც ცუდ გუნებაზედ არის ბიჭი. ლაპარაკი ხომ არა გქონიათ? მაგრამ რა ლაპარაკი უნდა გქონოდათ?

ნუშო. მე უნდა შენთვის მეკითხნა, დედი. თავის დღეში ჩემთვის მრუდეთაც არ შემოუხედნია, რას ამბობ? იქნება ვაჭრობა აქვს ცუდი ამ კვირია; ვინ იცის, ვაჭკაცია, ათასი საქმე ექნება. დედი, ჩიხირთმა არ გადმოვიდეს. ხო არ დახურე,—ბოლის გემო არ შერჩეს?

ბებე. ვერ უყურებთ ამას? საჭმელის კეთებას მასწავლი?

ნუშო. გეხუმრები, დედი. წავალ, მივხედავ, არ გადმოვიდეს (ჩამოკა ტახტიდგან და ჩუსტებს იცვამს).

ბებე. შვილო. შენი საქმე არ არის, ბოლი თვალებს გაგიფუჭებს, მერე საბაბი ხო მე უნდა გავხდე.

ნუშო. არა, დედი, ნუ გაჯავრდები. (საჩქაროდ გადის)

### გამოსვლა III

ბებე მარტო

ბებე. რა კაი გულის ქალია! ნამდვილი ვანოს ასლია და ძალიანაც ერთმანეთი უყვართ. ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მაგრამ ნუშომ ჩემზედ გულიააყრევინა ვანოს. როგორც სათუთ ვაზს თავს დასტრიალებს და გვრიტივით ეალერსება. მაგრამ ეს ერთი კვირაა, ჩემის შვილის თავს რაღაც ამბავია, სულ დაღონებული დადის. რა მიზეზი უნდა იყოს, ნეტავი? ცუდია, რომ ნუშომაც შეამჩნია. იქნება მართლა დახლი შემოსდის ნაკლები? რა სათქმელია! განა მარტო დუქნის სინაბარას არი? რა უნდა იყოს, თავის დღეში ესე დაძმარებული არა ყოფილა! უნდა გავიგო, რა ამბავია იმის თავს? ღმერთო, შენ დაიხსენ განსაცდელისაგან! აცათ, ვანოს ფეხის ხმაა!

### გამოსვლა IV

იგივე და ვანო

შემოდის პირდაპირ საჩქაროდ ძალიან აღელვებული და ტახტზე ჩამოჯდება ხმა-ამოუღებლივ.

ბებე. (კგბება) შვილო, რა არის შენს თავს? გენაცვალე, შემატყობინე, თორემ გული გადმამიბრუნდა!

ვანო. არაფერი, დედი, ცოტა ჩხუბი მომივიდა მწვანე იაგორასთან. ძალიან ავი-ძაღლი ვინმეა! არტემა რო იქ არა ყოფილიყო, ვცემდი.

ბებე. რაზე, შვილო, გამაგებინე, გენაცვალოს დედა?

ვანო. არაფერზე. ცოტა ლაპარაკი მომივიდა ჩითეულობაზე, იმან სიტყვა ამიკრა, თორემ მე ჩხუბის უნარი მაქვს? საცემი-კია ძალიან, საცემია!

ბებე. შვილო, იმ ავაზაკისაკენ ნუღარ გაივლი,—ემანდ სასუდო არ გაგიხადოს საქმე. ავის ჯილაგისაა ის ღვთისაგან წყეული!

ვანო. ნუ გეშინიან, წადი, შენ ნუშოს დამიძახე.

ბებე. ნუშოსა? ეხლავ, შვილო. შენ გენაცვალე, დინჯად იყავი, საჩხუბროდ ნუ გაიხდი საქმეს. (გადის მარჯვნივ)

### გამოსვლა V

ვანო, მარტო.

ვანო. ან გავტუტუცებულვარ, ან ერთი რამ ღვთის რისხვაა ჩემ თავს! ერთი რაღაც ცუდი ამბავია, ვერაფერი-კი ვერ გამიგია! გუშინ რაღაც სიმღერას მოვკარ ყური. ბაზარში ასე მგონია დამცინიან, მუშტარიც დღითი დღე როგორღაც მაკლდება. განა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეკებს დიდი ჯავრი ჩაჰყვათ არშელებისა. ერთხელ, გაზაფხულზე, ლეკის დიდ-ძალი ჯარი დაეცა ხევს. ვინც შეასწრო არშას, გადარჩა, ხოლო ვისაც ლეკებმა მოასწრეს, შეჰყარეს ერთად, ცხენოსანი ჯარი ზედ გადაატარეს და ხალხი, მეტადრე წვრილ-ფეხობა, ცხენებს გაათელინეს და გაალეწინეს. სწორედ იმ ალაგას, სადაც ეს ბარბაროსობა მოხდა, დღეს ცოდვის კალოს ეძახიან. ეს ცოდვის კალო არშის ციხეს სცილდება $1\frac{1}{2}$ ვერსით. ამავე უბედურ დროს სოფელ სნოს მცხოვრებნი თავიანთ სოფლის ციხეში შეიხიზნენ თურმე. სნოველებმა ბევრი იბრძოლეს მტერთან და ბოლოს წამალი შემოაკლდათ. სნოველთ თოფის ხმა რომ შესწყდა, მაშინ არშის ციხელნი მიხვდნენ, რაც ამბავია და წამლის მიშველება უნდოდათ. მაგრამ გზა მტრით იყო სავსე და არ იცოდნენ, რა ექნათ. ვინ იქნებოდა ისეთი ვაჟკაცი, რომ შეესრულებინა ეს მძიმე საქმე. ამ დროს გამოვიდა ოსა ჯანაშვილი და სთქვა: მე მივაწვდი სნოველებს წამალსაო, ხოლო იმ პირობით-კი, რომ უკეთუ მტერს გადავურჩი და სნოველები ვიხსენ განსაცდელისაგან, მაშინ უარს ნურავინ მეტყვის, თუ მოვიწადინე ცოლის შერთვა და ვისიმე ქალი დავენიშნეო. ხალხმა ერთხმად თანხმობა გამოაცხადა. ოსა ჯანაშვილმა გაივსო გუდა წამლით, ჩაიცვა ლეკური ტანისამოსი და წავიდა. წამალი მიიტანა. სნოველებს გაუხარდათ. გასტენეს თოფები და ისევ-ჰქა ქუხილი გაისმა. მტრები დამარცხდნენ და გაიფანტნენ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მაკ-გაჰანი თავის ნიუ-იორკიდგან გამოგზავნილ კორესპონდენციაში, რომელიც გაზ. „Русскія Вѣдомости“-შია დაბეჭდილი, სხვათა შორის იმის შესახებაც იუწყება, რომ ქალებიც თანდათან იმარჯვებენ და საერთო საპოლიტიკო უფლებას იძენენ, მამაკაცთა თანაბარსაო.

ამას წინად 139 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 127-სა ვაშინგტონის წარმომადგენელთა პალატამ დაადგინა, რომ ადგილ-მდებარეობა უაიომინგოც სხვა შტატებში ჩაირიცხოთ. თუ ეს დადგინება საბოლოოდ დამტკიცდა, უაიომინგო იქნება შეერთებულ შტატებში ერთად-ერთი ისეთი ადგილი, სადაც ქალებსაცა აქვთ მინიჭებული უფლება ადგილობრივ და საერთო საერო არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. კანზში აქვთ აგრეთვე კანზასის ქალებსაც, მხოლოდ მცირე, თვით იმ ქალაქისავე არჩევანებზედ. როდესაც შტატის წარმომადგენელს ირჩევენ კონგრესში გასაგზავნად, ქალებს არჩევანში მონაწილეობის მიღების უფლება ერთმევათ. კანზასი საუკეთესო მაგალითია სხვა შტატებისათვის, რომ იქაც ქალსაც იგივე უფლებანი მიანიჭონ, რაც მამაკაცსა აქვს. აი რას ამბობს გაზ. „New-yorkzn“-ის კანზასელი კორესპონდენტი, თანამშრომელი იმ გაზეთისა, რომელიც ქალების უფლების მხრით მამაკაცებთან გათანასწორებას არ თანაუგრძნობს. „კანზასის სამუნიციპალო პოლიტიკაში მთელი რევოლიუციაა, ნათქვამია ამ წერილში: და ეხლავე შეიძლება იწინასწარმეტყველოს ადამიანმა, რომ ხუთის წლის შემდეგ, თუ საქმემ იმავე გზით იარა, როგორც აქამდე მიდის, კანზასის ყველა ქალაქს ზედამხედველებად ქალები ეყოლება და ქალებიც, რაღა თქმა უნდა, მაშინ ყოველ არჩევანში მონაწილეობის მიღების უფლებას მოითხოვენ. ადვილად შესაძლებელია, რომ კანზასის ქალებმა ამ გადაზედაც ადრე მოიპოვონ სრული უფლება“...

ამერიკაში დღით-დღე ქალები მხარში უდგებიან კაცებს და სქესებრივი განსხვავება ადამიანს აღარავითარს უფლებას არ ართმევს და არ ასალმებს.

კანზასის უმთავრესს ქალაქებში ქალები მხოლოდ სასწავლებელთა საბჭოში წევრობას ეტანებიან, მხოლოდ პატარა ქალაქებში-კი რა თანანამდებობას აიღებთ, რომ ქალი არ იყოს ამორჩეული. ერთი ქალი, მაგალითებრ, პოლიციის მოსამართლედაც-კი არის ამორჩეული. ხუთი ქალი ქალაქის მოურავად არის და ერთს ქალაქში-კი მოურავი თუმცა მამაკაცია, მაგრამ მთელი საბჭო ქალებისაგან შესდგება და ხმოსნები სულ ქალები არიან. ქალაქებს Oskaloosa-სა, Argonia-სა და Cottonwood Falls-ში მთელი ქალაქის გამგეობა ქალების ხელშია და ისე კარგათაც განაგებენ, რომ „თვით ქალების მამაკაცებთან უფლების მხრით გათანასწორების წინააღმდეგნიც-კი მადლიერნი არიან“... 8,000 გაზეთ შორის, რომელიც კანზასში გამოდის, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 500 ქალებს თანაუგრძნობს. მოლოდინი აქვთ, რომ მომავალს არჩევანებზედ ასი ქალაქი დაექვემდებარება ქალებს და ყველგან ისინი იქმნებიან ხმის უმეტესობით ამორჩეულნიო.

ერთის სიტყვით, ამერიკაში ქალები სცდილობენ კაცებს არ ჩამორჩნენ უკან, ეკამათებიან, ებაასებიან, კრიებაში უდგანან და უკანონოდ არაფერს უთმობენ.

**

მაგრამ ქალი მაინც ქალად დარჩება, იქაც ქება და ტკბილი ალერსიანი სიტყვები ადვილად ჰხვევს თურმე თავს ბრუს ქალებს, რომელნიც კაცებს, თუ მაკ-გაჰანს დაუჯერეთ, ყველაფერში ეწინააღმდეგებიან და უსაფუძვლოდ, უკანონოდ არაფერს უთმობენ. გაზ. „Новое Время“-ს ერთი ამბავი მოჰყავს, ამერიკაში მომხდარი კორრესპონდენტსა და დეპეშის გამგზავნელს ქალს შორის.

რომელღაც სანაპიროზედ ერთი გემი დაიღუპა. კორესპონდენტი ერთის გაზეთისა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაექანა იქვე მყოფ სადეპეშო სადგურისაკენ, რომ გემის დაღუპვის ამბავი ეუწყებინა გაზეთისათვის, მაგრამ საუბედუროდ, დაუგვიანდა, დეპეშების გამგზავნელს ქალს ის იყო სადგური დაეკეტნა.

— თუ ღმერთი გწამთ, დეპეშა გამიგზავნეთო, შეევედრა კორესპონდენტი: ასეთი დიდი უბედურება დატრიალდა და დეპეშის გაუგზავნელობა შეუძლებელია. რამდენიც ადამიანი იმსხვერპლა ამ უბედურებამ, სწორედ იმდენს სტრიქონს დავწერ.

ქალმა უარი უთხრა.

— ერთი ორად გადავიხდი ფასს! ძალიან საჩქაროა! მოცდა არ შემიძლიან, «ჩრდილოეთის სააგენტოს» თანამშრომელი ხომ არა გგონივართ, რა გქნა?

ქალმა უარის ნიშნად კვლავ თავი გაუქნია.

— ჩემს ორის თვის ჯამაგირს თქვენ მოგცემთ; როცა გათხოვდებით, თქვენს შვილებს მე მოვნათლავ...

ქალი სულ მაინც უარზედ იდგა.

— დეპეშის ბოლოს დავუმატებ, რომ ლამაზის, მშვენიერისა და მომხიბლავის დეპეშების მგზავნელ ქალის წყალობით ამ დეპეშის წაკითხვას ჩვენი მკითხველები....

— აქამდე იტყოდით რაღაო, გააწყვეტინა ქალმა: მომეცით აქ ეგ დეპეშა, ეხლავე გავგზავნი.

მახლას?!

## უცხოეთი

ინგლისი. გოშენს, კანცლერს ხაზინისას, ძალიან ემდურებოდნენ მდიდრები და შეძლებულნი, რომ შეამცირე არა-პირდაპირი გადასახადი და არა ქონების კვალობაზე გაწერილიო. თუ ხაზინას მეტი ფული ჰქონდა, ის ფული იმაზე უნდა მოგეხმარნა, რომ ჩვენ მოგვეცემოდა შეღავათი, ჩვენ შეგვემცირებოდა სიმძიმე იმ გადასახადისა, რომელსაც ქონების კვალობაზე გაწერილს გადასახადს ეძახიან და რომელმაც ლამის დაგვარჩოსო. გოშენმა ილაპარაკა ამ საგნის გამო და აი რა გამოარკვია: როცა მე კანცლერად დავინიშნე, შეძლების კვალობაზე გაწერილი გადასახადი იყო 8 პენიო. ავიღე და მაშინვე ერთი პენნი მოვაკლე. ამისათვის მოვიხმარე ის თანხა, რომელიც სხვა ვალების გასასტუმრებლად იყო გადადებული. ამით მე ჩემი სახელი ფინანსების მცოდნესი დიდს საფრთხეში ჩავაგდე. მერე მეორე წელსაც შევუმცირეთ შეძლებულებს ერთის პენით კიდევ შეძლების კვალობაზე გაწერილი გადასახადი და ამისათვის მოვუმატე არა-პირდაპირს გადასახადს, რომელიც თავის სიმძიმით ერის უმრავლესობას და მაშასადამე უფრო ღარიბებსა და შეუძლებლებს აწევთ კისრად. ბირჟა ძალიან გამიწყრა ამაზე. გამიწყრნენ აგრეთვე შამპანურის ღვინის მოყვარულნი, მაგრამ მე იმათ წყრომას მაინც არ მოვერიდე. მესამე წელს ფული მთხოვეს ფლოტის გასამატებლად და გასაძლიერებლად და მითხრეს შეძლების კვალობაზე გაწერილს გადასახადს წაუმატეთ ეს ფული, როგორც წინად იყო ხოლმეო, მაგრამ მე უარზედ დავდექი. მაშასადამე, აქაც მდიდართა და შეძლებულთა სასარგებლოდ მოვქცეულვარ. წელს-კი ვხედავ, რომ საჭიროა და სამართლიანობაც იქნება ცოტაოდენი ღარიბ და მცირედ შეძლებულთათვისაც ვიზრუნოთ და შევამციროთ არა-პირდაპირი გადასახადი, რომელიც გაწერილია ყოველდღიურად საჭირო და სახმარს სალეველ საქონელსა და სავაჭროზედაო.

— გოშენის მიერ შედგენილს ბიუჯეტში ნათქვამია, რომ წელს შემოსავალი მეტი იქნება სამის მილიონით გასავალზეო და ეს ფული დავხარჯოთ იმაზე, რომ შევამციროთ ბაჟი ჩაიზე, ლუდზე, ქიშმიშზე და სხვანი. აი ამ ბიუჯეტს კონსერვატორებმა უწოდეს ბიუჯეტი ღარიბთათვის. ლიბერალები-კი ამბობენ, რომ მაგ ბიუჯეტის ანგარიშით დიდი შეღავათი არა მიეცემა-რა ღარიბ ხალხს და ტყუილად ჰფიცხობენ კონსერვატორებიო.

— გოშენსა და გლადსტონს 12 აპრილს შელაპარაკება მოუხდათ პარლამენტში ბალფურის პროექტის გამო მიწების გამოსყიდვის თაობაზე ფერმერთაგან. გოშენმა სთქვა, რომ ფერმერები მადლობას გვეტყვიან ამ პროექტისათვისაო, თუმცა ირლანდიის დეპუტატები წინააღმდეგნი არიანო. გლადსტონიც წინააღმდეგია და იმიტომ არის წინააღმდეგი, რომ ვითომც შიშობს, სახელმწიფო როგორ უნდა გაუხდეს კრედიტორად ირლანდიის ფერმერებსაო. გლადსტონს რომ ყური დაუგდოთ, გეგონებათ, ეს ისეთი საქმეა, რომელიც არ გაგონილა, არა ქმნილა. სახელმწიფოს კრედიტორობა ირლანდიაში რამდენი ხანია ძალაშია. ამ წესის შემოღებაში, თუ არა ვცდები, თვით პატივცემულ ჯენტლმენსაც (ვითომ გლადსტონსაც) უდევს წილი. 1869, 70, 71 წწ. კანონების ძალით ჩვენ ირლანდიის ფერმერების შესახებ ვართ სახელმწიფო კრედიტორების მდგომარეობაში. გულ-ახსნით ვამბობ, რომ ამ წესს თავისი უხერხულობა აქვს, მართალია, მაგრამ ამა თანავე ვკითხავ პატივცემულს ჯენტლმენს, განა თვით იგი სხვაფრივ სცდილობდა ამ საქმის გაკეთებასა და გადაწყვეტას.

---

საძლებელია? ფუ, ეს ოხერი თავიდგან ვერ მომიშორებია! გადარეული ვარ სწორედ! ნუშოო! ნუშოო! არა, არა, არა!.. დასწყევლა ქრისტემ, ასე გავტუტუცდი? რა ნაირი აზრები მიტრიალებს თავში? მაგრამ იმ წყეულმა რაგორამ რა თქო! (წამოვარდება და აღელვებით გაივლის) პირში მომახალა რაღა, შენი ცოლი უნამუსოაო! ნუშოო, ნუშო, ნუშო! უსიკვდილოთ არ გადამირჩება, რა გამოვიდა! წავალ, ეხლავ გავანადგურებ იმ შეჩვენებულს, იმ მოთრეულ კრუას!.. ერთი ნუშო-კი ვნახო. სად არის აქამდის? მოდის (დაჯდება თავის ადგილას).

გამოსვლა VI

ვანო და ნუშო.

ნუშო (გამოდის საჩქაროდ, მიუჯდება ვანოს და ეალერსება). რა იყო, გენაცვალე, რათა ხარ მაგრე? რა ფერი გაძევს, ავად ხო არა ხარ?

ვანო. არა, ავად არა ვარ...

ნუშო. რა იყო, შემატყობინე. თავი ხომ არა გტკივა? (შუბლზედ ხელს ადებს) თავი ცხელი გაქვს. ხომ არ გინდა, საფეთქლებს ძმრით დაგისრესამ?

ვანო. არა, თავი არა მტკივა...

ნუშო. რა იყო, ვანო? როგორა ხარ არეული. სთქვი, გენაცვალე, გული ნუ გამიხეთქე!

ვანო, არაფერი, ნუშო...

ნუშო. მაშ რა არი შენს თავს? არ მეტყვი, ყმაწვილო? რათ იცი მაგრე?

ვანო. არაფერი, ჩემმა მზემ... მე...

ნუშო. რად მეძახდი, იმას მაინც არ მეტყვი? სთქვი, გენაცვალე, ნუ მაწვალებ!

ვანო (თავისთვის). რა უთხრა? (ნუშოს) არაფერი, ღმერთმანი... შენი ნახვა მინდოდა...

ნუშო. მაშ რათა გაქვს სახე არეული? აბა თვალებში შემომხედე (თავს თავისკენ უბრუნებს).

ვანო (ძალას უწევს). რა გინდა?.. კარგი, გეყოფა!..

ნუშო. გცხვენიან განა? გული ცუდუბრალოზე გამიხეთქე, ეხლა ნანობ? (თავს უბრუნებს).

ვანო. აჰა! (მიუბრუნდება) ჯერ არ გინახვიხარ, არა? სწორედ შემამხედე თვალებში! (თვალებში აკვირდება)

ნუშო. აჰა, რა ერთიც გინდა მიყურე!

ვანო (თავისთვის) თვალებში სამ ოთხე უჩანს! (წამოდგება... ნუშოს) იცი, ნუშო, რა? ქრისტეს გეფიცები, შენს წყენას ღმერთსაც არ შევარჩენ!

ნუშო (წამოდგება). რა იყო, გენაცვალე? არეული ხარ. ხომ არავინ გაგაჯავრა? მითხარ, რა არი?

ვანო. არაფერი!.. (თავისთვის) მაშ შევარჩენ?.. ხელი მამტყდეს მაშინ ძირში!

ნუშო. რა იყო, შენი ჭირიმე, მითხარ, ნუ მაწვალებ!

ვანო. არაფერი!.. ეხლავე მოვალ, სადილი მოამზადეთ! (მიდის)

ნუშო. მოიცა! არ მეტყვი, რაზე ჯავრობ? შენი ჭირიმე, მითხარ!

ვანო. შენგან არ მიკვირს? რაზე მეტყობა ჯავრი?

ნუშო. არა, შენ როგორღაც გაჯავრებული ხარ, — ჩემზე ხომ არა?

ვანო (თავზე ხელს უსვამს, ნუშო გულში ეკვრება). საქმე არა გაქვს? შენ რომ გაგიჯავრდე, ხომ ქვეყანა მოვიძულე! არაფერია! სადილი მოამზადეთ. მე ბაზარში საქმე მაქვს, — მალე მოვალ. (გადის)

ნუშო (მისძახის) მალე მოდი, არ დაგვიანო!

გამოსვლა VII

ნუშო მარტო

ნუშო. ნეტავი, რა მოსდის ვანოს? ვერაფერი გამიგია ერთი კვირაა, ასე ცუდ გუნებაზეა. ვაჭრობა ხომ არ მიუდის ცუდად? ხო, გუშინ-წინაც ამბობდა, რომ დახლი ნაკლები მომდის ეს რამდენიმე დღეაო, მაგრამ დახლმა როგორ გააჯავრა? არა, ძალიან გაბოროტებულია! ნეტავი რა მიზეზი უნდა იყოს? დამიდგა თვალები, როგორ ფერ-წასული იყო! უთუოდ ვინმემ გააჯავრა, დედას ეცოდინება უეჭველად.

გამოსვლა VIII

იგივე და კეკა

შემოდის მარჯვენა კარებიდგან

ნუშო (მიეგებება). დედი, მითხარ, გეცოდინება, რა დაემართა ვანოს? როგორღაც ხასიათი გამოეცვალა.

კეკა. ვანოს ხასიათს რა უჭირს, შვილო? რაზე უნდა გამოსცვლოდა?

ნუშო. არა, დედი, ვატყობ, როგორღაც გვერდზე მიყურებს, არ ვიცი რათა. გულ-ნაკლულია ჩემზე უთუოდ.

კეკა. კარგი შენცა, გენაცვალე! ბიჭს რა უჭირს, ღმერთმა ნურა გაუჭიროს-რა! ვინ იცის, ვაჟკაცია, ათასი დარდი და ვარამი გაუჩნდება გულში!

ნუშო. იცი, დედი, რა? გული რაღაც ცუდს მეუბნება.

კეკა. დაჩუმდი, შვილო, ღვთის გულისათვის! ემანდ ვანოს ყურს არ მოხვდეს, მე იმის თავი სადა მაქვს! (ფანჯარასთან მივა და გადიხედებს) აგე, ქალო, ვანო თელალასა და სოფოს ელაპარაკება, იცინის კიდეც.

ნუშო. (მიირბენს და გადიხედავს) ჰო, იცინის! სიმხიარულეც ეტყობა! მე-კი გული გამიხეთქა და რა გამოვიდა! ბაზრისაკენ როგორ მიეშურება! აღარა სჩანს!

კეკა (მოშორდება ფანჯარას). მოდიან! (შუა კარისკენ მიდის)

ნუშო (ფანჯრიდამ). სადა ხართ, ქალო, აქამდის? (მოშორდება და შუა კარისკენ მიეშურება)

ან. ბენაშვილი

(შემდეგი იქნება)

გლადსტონი. დიაღ, სწავარივ ვსცდილობდი.

კანცლერი ხაზინისა. პატივცემული ჯენტლმენი ბრძანებს დიაღო, მაგრამ მე ვგონებ, რომ ის ხელმწიფება, რომელსაც, იმის პროექტის ძალით, ფერმერების მიმართ უნდა ეტვირთნა ლენდლორდის მაგიეროა, იგივე ხელმწიფება იყო.

გლადსტონი. ირლანდიის ხელმწიფება იყო და არა ბრიტანიისა.

კანცლერი ხაზინისა. დიაღ, ირლანდიისა, მაგრამ ხომ მაინც ხელმწიფება იყო. საქმე აქ იმაში არ არის, რომლის ტომის ხელმწიფებაა. გვარტომობას აქ ადგილი არა აქვს, ჩემის აზრით. საქმე ის არის, შეიძლება თუ არა სახელმწიფომ იტვირთოს კრედიტორობა ფერმერების შესახებ.

გლადსტონი. ინგლისის სახელმწიფო ვერ იტვირთებს. ჩემ პროექტში სულ მაგას ვამბობდი, რომ ეგ საქმე თვით ირლანდიის პარლამენტს უნდა მიენდოს მეთქი.

## წვრილი ამბები

ტურინის ქიმიის პროფესორს საფოროს ერთი ფრიად ადვილი და საუკეთესო საშუალება მოუგონია წყლის დასაწმენდად. წყლით სავსე ჭურჭელში სვამს თურმე გველ-თევზებს, რომელნიც ერთობ დიდი მსუნაგები არიან, და რაც-კი მწერი, ან სხვა პატარა ცხოველი იქნება წყალში, მთლად ჰსანსლავენ და აქრობენ. რა-კი წყალი პატარა ცხოველებისაგან დაიცლება, თუ კარგად დახურე, აღარასოდეს აღარ აშმორდება და აღარ გაფუჭდება. ეს საშუალება ძალიან გამოსადეგი იქნება იქ, სადაც იძულებულნი არიან ხოლმე, წყალი ერთბაშად მოაგროვონ და მერე ნელ-ნელა ჰხარჯონ.

— ყველამ იცის, რომ თუ ცივს ჭიქაში უცბად ცხელი წყალი ჩაასხით და ან გახურებულს ჭიქაში ცივი წყალი, ჭიქა მაშინვე სკდება. ახლა ამის წამალიც მოუგონიათ: გამოხვიეთ თითოეული ჭიქა ცალ-ცალკე წვრილ ჩალაში ანუ ფუჩეჩში, ჩააწყვეთ წყლით სავსე ქვაბში, შედგით ქვაბი ცეცხლზე და აადუღეთ წყალი. 5—6 საათის განმავლობაში უნდა იდუღოს ქვაბმა, მერე უნდა გადმოდგათ ცეცხლიდგან, ზემოდან საბანი ან სხვა თბილი რამე გადააფაროთ და სანამ წყალი არ გაცივდება, მანამდის ჭიქები არ ამოიღოთ. როდესაც წყალი გაცივდება, ჭიქები უკვე გამომწვარი იქნება და თუნდა ცხელი წყალი ჩაასხით შიგ, თუნდა ცივი, აღარ გასკდება.

— გეტტინგენის საქალაქო მუზეუმს შეუძენია ამ ქალაქის ძველის უნივერსიტეტის კარცერის კარი, რომელსაც ზედ აწერია: „Stud. jur. v. Bismarck". 1833 წ., როდესაც თავადი ბისმარკი ჯერ კიდევ გეტტინგენის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, კარცერში მჯდარა და ზემოდ-მოყვანილი წარწერა იმის საკუთარის ხელით არის თურმე ნაწერი.

— სადაც სიმინდი მოდის, იქ ღომიც მოვა. ღომი ზოგიერთ მცენარესავით ნაზი არ არის და თითქმის ყოველ გვარ მიწაზე ამოდის, მხოლოდ ძალიან სქელსა და თიხნარს მიწაზე ვერ იზრდება რიგიანად. ყველაზე უფრო ღომს მშრალი მიწა უყვარს და ფერდობები, რომელსაც მზე მუდამ დასჩერებია. ღომი ერთობ ღრმად გაიდგამს ხოლმე მიწაში ფესვებს, ამიტომ მიწის ზემო ნაწილი არ ილალება და, ღომს რომ მოიყვანთ, შემდეგ იმავე ადგილას შეიძლება პური ან ქერი დაითესოს. ღომი უნდა დათესოთ აპრილში აგვისტოს დამდეგს სამ-ოთხს ადლის სიმაღლეზედ იზრდება. ღომის ჩალა ძალიან კარგია საქონლისათვის. ღომმა გამოსავალი ძალიან დიდი იცის და გვალვის შიში არა აქვს. („Рус. Вѣд.")

## დეპეშები

24 აპრილი

პეტერბურგი. გამოცხადებულია გარდაწყვეტილება, სახელმწიფო საბჭოსი, რომ არ მიეცეთ შეღავათი სამხედრო ბეგრის გამო იმათ, ვინც სასამართლომ სცნა დამნაშავეთ, რომ ძალათ, გაიფუჭა რამ ნაწილი სხეულისა ასაცდენათ სამხედრო ბეგრისა, ან მოტყუებით იმოქმედა ამავე აზრით.

ასხაბადი. დღეს გაემგზავრა პეტერბურგს თავის სახლობით გენერალი კომაროვი, იმიერ კასპიის მხარეში უფროსად ნამყოფი.

ვენა. დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე და ჰერცოგი ლეიხტენბერგისა და მეუღლენი მათნი მიემგზავრებიან ანტივარიდამ ბარს ლოიდის გემით „Iris"-ით.

შემოდგომას შეიკრიბებიან ან კიევს, ან ბელგრადს, ან პრაგაში სლავიანთა მეცნიერნი იმ აზრით, რომ შემოიღონ ერთნაირი წერა კირილიცებით ყველა სლავიანთათვის და აგრეთვე დააწესონ ერთნაირი სალიტერატურო ფორმები ენისა.

ლონდონი. გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გუშინ საღამოს გამართა დიდი წვეულობა სტენლის პატივისცემისათვის ალბერტ ჰოლში. უელსის პრინცმა მიართვა სტენლის განსაკუთრებული ოქროს მედალი, რომელიც საგეოგრაფიო საზოგადოებამ მიუძღვნა.

პეტერბურგის ბირჟა, 20 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | 7 14 | „ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | $141\frac{1}{2}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | $107\frac{1}{2}$ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 228 | — „ | — „ |
| — მეორისა | — „ | — „ | $215\frac{1}{2}$ |
| — მესამისა | | — „ | 217 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | $86\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | 99 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | 99 37 |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

აპრილი 30 დღით არის

25 დღე ოთხშაბათი. ქართველ. წმ. მოციქულისა და მახარობლისა მარკოზისა. კათოლ. წმ. მოციქულისა და მახარობლისა მარკოზისა. სომეხ. 25 დღე აღდგომის შემდეგ. საქართველოს მეფე ვახტანგი, რუსეთში რომ გადავიდა საცხოვრებლად მხლებლებით, გამოცხადდა იმპერატრიცა ეკატერინა 1-თან, რომელმაც დაასაჩუქრა წმ. ანდრიას ორდენით და ყოველ წლივაც 12,222 მ. დაუნიშნა (1725 წ.). აგრეთვე სხვა-და-სხვა დროსაც დაასაჩუქრა და რამდენიმე სოფელი უბოძა, 2996 სული გლეხი. მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—4. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. მთვარე 18 დღისაა.

26 დღე ხუთშაბათი. ქართველ. წმ. მღვდელ-მოწამისა ვასილი, ამორიელ ეპისკოპოსისა. კათოლ. წმ. მარცელინა და კლავდისა. სომეხ. 26 დღე აღდგომისა. ტფილისის საჯარო წიგნთ საკითხავის დაარსება 1850 წ. მზე ამოდ. 4—47, ჩ. 7—5. ჭეშმარიტი შუადღე, 11—56. მთ. 19 დ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწროებს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ბორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში"

**პატარა კახი**

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შესწორებული გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ" და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

# დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას" წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი", ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ, 24-го Апрѣля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე